

45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის
სამუშაოები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი # 1

ქ. ნინოწმინდა

21.10.2020 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ალექსანდრე მიქელაძე – მერის პირველი მოადგილე;

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

საიათ მკოიან — ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის წევრები:

სამველ არზუმანიანი – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ანდრანიკ ქაპოიან – სატენდერო კომისიის წევრი – იურიდიული სამსახურის უფროსი;

სოს ბდოიან – ზედამხედველობისა და რეაგირების სამსახურის განყოფილების უფროსი ;

ვლადიმერ ჩალათაშვილი – სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ვატერინე ოქრომელიძე – მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

ტიგრან ალვანჯიან – სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი;

არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რუბენ ღაზარიანი – ინფრასტრუქტურის, სივრცით მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ სოფ. ტამბოვისა და როდიონოვის საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით მომზადებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების განხილვა–დამტკიცება.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მიქელაძემ კომისიის გააცნო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ტამბოვისა და როდიონოვის საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე (CPV-45200000), სამუშაოები დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით და პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 109.763 (ას ცხრა ათას შვიდას სამოცდასამი) ლარს დამატებითი ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით.


აზრი გამოთქვეს: სატენდერო კომისიის წევრებმა იმსჯელეს შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ აღწერილობაზე, სატენდერო დოკუმენტაციის პროექტში გათვალისწინებულ პირობებზე და მისაღებად ჩათვალეს სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების პროექტი. სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ელექტრონული ტენდერის NAT წესით გამოცხადებაზე.

დაადგინეს:

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 12¹ მუხლის მე-2 პუნქტისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე:  /ალ. მიქელაძე/

თავმჯდომარის მოადგილე:  /ს. მკოიან/


კომისიის წევრები:  /ვ.ჩალათაშვილი/

 /რ.ღაზარიანი/

 /ა. ქსპოიან/

 /ს. ბდოიან/

 /ს. არზუმანიანი/

აპარატის წევრები:  /ე. ოქრომელიძე/

 /ტ. ალვანჯიან/